

137  
1330

0470350-1  
80720190330

# თქობა ბრავი

## № 5





ქალის  
ბიზნის

1930  
მ ა ი ს ი

საქართველოს შ. კ. თ. ცენტრალური და ცფ. მუ-  
რთუების და გან. ხას. კლმისათ. სფ. აღმრ. მთავართ-  
თქულთმის პრინალი მცირეფლთგან მაცნთათვის

წელიწადი  
№ 5

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. გაუმარჯოს პირველ მაისს - ლექსი ადრიკო ქერეკაშვილის.	33
2. ტაია - პ. ჩხიკვაძის . . . . .	3
3. გაფიცვა გამოცხადებულა - ირაკლი აბაშიძის . . . . .	8
4. ჩვენ თვითონ - ლექსი მარიჯანის. . . . .	14
5. მაისი - ლექსი შუშანა მგელაძის . . . . .	14
6. მაისი - საბავშვო პიესა ლადო გეგეჭკორის . . . . .	15
7. უმუშევრები - თარგმანი შ. შიქველიძის. . . . .	18
8. საპირველმაისო - ლექსი ალ. ბილანიშვილის. . . . .	23
9. როგორ ჩაატარა პირველი მაისი პირველმა საცდელ-საჩვენებელმა სკოლამ - დ. ალექსიძის. . . . .	24
10. ელსადულარი - დ. მესხის. . . . .	27
11. ბრმა მოხწველენი - საბასი . . . . .	29
12. სხვადასხვა ამბავი . . . . .	30
13. ჩვენი მკითხველების წერილები.	

**ოქტომბრელეზო!**

არ დაგავიწყდესთ მეორე ნახევარი წლით თქვენი ჟურნა-  
ლის „ოქტომბრელის“ გამოქვრა.

წლიურ ხელისმომწერლებს სეპტემბერში დაური-  
გდებათ პრემია - უარადსურათებიანი წიგნი „გულ-  
წითელი“.



ღღეს პირველი მისია, გაზაფხულის მოციქული,  
 ღღესასწაულს ვეგებებით, სიხარულით გვიძვერს  
 გული.

ღღეს მუშები გამოდიან წითელ დროშით  
 დარაზმულნი,  
 უფლებები მათ ხელშია, არ არიან დაჩაგრული.

არ სჭირდებათ მათ ფარულად ზეიმობა მთა და ბარად,  
 ძველი სუმილად გატიალდა, ისტორიამ ჩაიხარა.  
 არაივნი გვეშინია, მაღლა ფრინავს ჩვენი დროშა,  
 რას დაგვეკლებს რომის პაპი, თუ რაიმე წამოიროშა.

გაუმარჯოს პირველ მისს,  
 საბჭოთა ხელისუფლებას,  
 გულზე გასკდეს ჩვენი მტერი,  
 ვერ წაგვართმევს ამ უფლებას!  
 ანდრიკო ქერეკაშვილი.





ზატარაობიდანვე დასწყება ტაიას ზირუტყვის სიუვარული.

ჯერ კიდევ ახალფესვადკმული იყო, როცა გაეზარებოდა დედის ეხოს უანაში, დაგლეჯდა ჩუხად სოიას ღეროებს და თავის საუვარელ ჯორას მიუბრუნებდა.

ჯორა აუჩქარებელი თავასიანობით აცლიდა ტაიას სელიდან სოიას ღეროებს და მადიანად იცოხნიებოდა უოველი მოულოდნელი დაზურების შემდეგ.

ტაიას ისე შეეჩია ჯორა ბაღასსა და საკვებზე, რომ საკმარისი იყო მისი ერთი წამომასება: „მოო, ჯორა, მოო!“, რომ ჯორა შბუილითა და ტუჩების ლოკვით გაეჩნებოდა ზატარა ზატრონისკენ და ჯიდის ტოლა თვალებით მიანერდებოდა ტაიას სელეებში: რას მომასწოდებსო.



სმირად მარლითაც ატყუებდა ტაია ჯორას, ხან ჭადის ნატყისით, ხან კიდევ გადანარჩევი მსალეულითა და კომბოსტოთი.

ასე ვაიზარდა ჯორა, და ვაიხედნა უღელში, ხოლო ტაიას უკვე შეიდი წელი შეუსრულდა და სკოლაში მიანბარეს, საუვარელ ჯორას ნაწილობრივ ჩამოამორეს. სკოლიდან დაბრუნებული ტაია



ზირველად ჯორსაკენ გაექანებოდა, თუ კი ის შინ ეგულვებოდა, მიუაღერსებდა, შებლსე ხელს გადაუსვამდა, რაიმე ფოთოლს ჩამოუკლევდა, დააპურებდა და შემდეგ ისაღილეებდა.

ასე მიდიოდა დღეები.

ხაქობარი უკანასკნელ დღეებს ვითხოვებოდა.

სოფლები კოლექტივების დაარსებაზე ალაპარაკდა.

ჩამოვიდენ სოფლად ქალაქელი მუშები და კოლექტივის მნიშვნელობაზე საუბრები მოაწვევენ... კრებებზე ალაპარაკენ და ბოლოს კოლექტივიც დააარსეს...

სკოლაში მასწავლებელმა გააცნობავუებს კოლექტივის დანიშნულებას, ამიტომ როცა ტაიას მამამ ნიკომ ოჯახში განაცხადა—ხენი ჯორს კოლექტივში გადარიცხესო, ტაიას ეს არ გაკვირვებია, მაგრამ ეწეინა კი ჯორას მოძიებდა.



ვევლასე უფრო ეს აწუხებდა ტაიას: საჭმელი ხომ საუფად ექნება ჯორას კოლექტივში? როცა დაარწმუნეს ტაია, რომ ჯორას იქ არ მოძიდებოდა, ტაიამ ნება დართო ნიკოს ჯორს კოლექტივში წაეყვანა.

ჯორს წაიყვანეს ნიკოს ოჯახიდან, მაგრამ დიდხანს ის არც კოლექტივში გაჩერეს: კოლექტივის წევრთა სურვილით გაუიღეს ხარები და აღებული ფულით ტრაქტორი შეიძინეს.

ტაიას გადაუვიწყდა კიდევ ჯორს და მასზე ფიქრი, მაგრამ ერთ საღამოს უცებ მოავიწყდა ჯორს და კოლექტივის სამუშაოდან დაბრუნებულ მამას ჰკითხა:

— მამილო, ჯორს სად არის? ხომ კარგად არის!?

ნიკო გაწითლდა. მან იცოდა, თუ რა რიგად უუპარდა ჯორს ტაიას, ამიტომ ზასუსი შეაკვიანა.

— სად არის ჯორა?—არ ეშვებოდა ტაია მძის და მისთვის მოლოდინში თვალები უფართოვდებოდა.

— ჯორა და ჩენი მესობლის სხვა ხარები გაუვიდეთ, მამილო! აღებული ფულით ტრაქტორი შევიძინეთ. დღეიდან ჩვენს მიწებს კოლექტივის ტრაქტორი დაბუშავენს: მიხნავს, დათესავს, გაძარკლის და გალენავს კიდევ. ასე რომ ჩენი ხარები ტრაქტორებად ვაქციეთ, ტაია...

— კი, მაგრამ ხარები?

— ხარები სხვაგან იმუშავენ, — იცრუა განკებ ნიკომ, რომ ტაიას ეჭვი არ აელო: გაეიდულ ხარებს სომ სხვასობზე დაკლავდენ სასორცედ.

— სხვაგან?

— ჰო, შვილო, სხვაგან ამუშავენ. ჩენი კოლექტივი დიდია და მიწაც ბევრი გვაქვს, ამიტომ ხარებით აქ ვერაფერს გავსდებოდით, ტრაქტორი კი ფოლადის ხარია და უეღლაფერს იოლად იტანს, ბევრს იმუშავენ და არ მოიღლებ.

— ტრაქტორი უფრო ბევრს დახნავს?—იკითხა გულანუეებულმა ტაიამ და ჯორას გაუიღვის მოგონებასე თვალის უშაგები ცრემლებით აფხსო.

— ცხადია, ტრაქტორი მეტს დახნავს, შვილო, — უნასუნა ნიკომ და ტაიას დასამშვიდებლად ხანგრძლივი საუბარი გააბა მასთან.

— მამილო, მე ჯორა მანც მეცოდება!—მოწყენით წამოიძისა ტაიამ, როცა ნიკო მორჩა საუბარს ტრაქტორის შესახებ.

— ჯორას არაფერი გაუჭირდება, შვილო, ფიქრი ნუ გაქვს, — დაიძედა ნიკომ ტაია და ისევ ბაასი გააბა ცნობისმოყვარე შვილთან.

## 2.

შეორე დღეს ტაიას დასვენების დღე იყო.

გამოიღვიძა თუ არა ტაიამ, სანქროდ ისაუხმა და ჩუქულები-სამებრ გაეჩანა თავის ტოლ-ამხანაგებში სთამამოდ.



ბავშვები, რომელთაც დასვენების დღე ჰქონდათ, ტაიასთან ერთად გავიდნენ სოფლის მინდორში და ხაირ-ხაირი თამაშობა მოაწყვეს.

— ბიჭებო!

— რა იყო, ტაია?— შემოუძახეს აქეთ-იქიდან.

— თამაშობა გვეყოფა. მოდი, კოლექტივი დაუბთვალეოთ. მამახემმა თქვა წუსელ, კოლექტივმა ტრაქტორი შევიძინეთო. ტრაქტორსაც უნახავთ. რას იტყვით, ბიჭებო?

— მეც ვიცი, რომ იუიდეეს!— წამოიძახა ვალიკომ.

— შენ საიდან იცი?— აუსირდნენ ვალიკოს დანარჩენები.

— მეც მამახემმა მითხრა...

— მამახემს საიდან ეცოდინებოდა, როცა ის კოლექტივის წევრი არ არის?

— შენ რა იცი, რომ არ არის...

— არ არის!— დაიწმა თინიამ.

— არ არის, — გააჯავრა ვალიკომ თინია და დაჯღუხული ცხვირი უჩვენა.

— რას იჯღუხები? მამახემი არ იყო, რომ ერებაზე კოლექტივის წინააღმდეგ გამოვიდა?

— კარგი ერთი... ცინგლიანო...



— ცინგლიანი შენ ხარ!

— რა განსუებთ, რა მოგევიდათ?—ხაერია ლაპარაკები ტაიად მომსუბართ წურომით გადასედა.

— აბა, რად იბახის, მამაშენი კოლექტივის წვერი არ არისო.

— ამდენხანს არ იყო და გუშინ თუ შევიდა, არ ვიცი, — არ იშლიდა თაუისას თინია და ვალიკოს თითის ქვევით აბრახებდა.

— რაჟა არ იყო... მამახეში რახანია კოლექტივის წვერია. ხევი ხარებიც შეიუვანა კოლექტივში და ახლა ტრაქტორზე მუშაობას სწავლობს.

— კიდევ უფრო სასიამოვნო, თუ წვერი არის. ბიჭებო! წაუდეთ და იქ დაუბათვადიეროთ ეუელაფერი.

— წაუდეთ.

— წაუდეთ!—ახმაურდენ ერთხმად ბავშვები და კოლექტივისაკენ მიძაუად შარახე გამწკრივდენ; სიმღერა წამოიწყეს და ხალისიანი ხმაურობით მინდურებიც გამოაღვიძეს.

— ბიჭებო!—წამოიძახა უცებ ტაიამ და თითი მუბლზე მიიღვა.





საქართველოს  
საზოგადოებრივი

— რა იყო, ტაია?

— იცით რა? მოდი, საუსმე წაუუღოთ ტრაქტორს.

— რა საუსმე?—იკითხა ვალიკომ.

— რა საუსმე და ბაღასი... სწვა რა იმოყვება ასეა მინდვრებში.

— ტრაქტორს რად უნდა ბაღასი?—გაიკვირვა ისევ ვალიკომ, რადგან მას გაგონილი ჰქონდა, რომ ტრაქტორი უსულო საგანი იყო და საჭმლის ნაცვლად სათბობს მოითხოვდა მუშაობისა და მოძრაობის დროს.

— რად, უნდა და შეჭამს, — დასცინეს ვალიკოს ამხანაგებმა.

— ტრაქტორი რომ ბაღასს არ სჭამს?—არ იშლიდა ვალიკო.

— აბა რას სჭამს, ბიჭო?—წამოუძახეს ვალიკოს აქეთ-იქიდან—ტრაქტორიც ხარი არ არის? მხოლოდ ტრაქტორი ჯიშისანი ხარია და უფრო დონიერი.. შენ გგონია ჭამა არ უნდა ტრაქტორს?

ვალიკო დაეჭვდა, მაგრამ მანაც ვერ დაიჯერა, რომ ტრაქტორი ბაღასიჭამდა იყო, ამიტომ გადაჭრით განაცხადა:

— აგერ ნახავთ, თუ ტრაქტორი ბაღასს შეჭამს!

— აბა რას შეჭამს?

ვალიკოს აქ ენა დაემა. მას ჯერ არ გაეგონა, თუ რით იკვირებოდა ტრაქტორი, ხოლო ტრაქტორი რომ ბაღასიჭამდა არ იყო, ეს მას სჯუროდა, მაგრამ რაღაც ზირდაზირა ზასუსი ვერ მოახერხა, ისევ დუმილი არნია და თვითონაც გაუვა ტოლ-ამხანაგებს ბაღასის სამებარში. ბავშვებმა სასქაროდ მოაგროვეს ტუის ზირად ასლად გაფურცლული წიფლისა და რცხილის ტოტები, შეკრეს კონებად და ტრაქტორის დილის საუსმით სელდამშვენებულნი გაუდგენ გზას კოლექტივის ვეებერთელა ეანებისაკენ, სადაც გამალებით მუშაობდნენ მინდვრებში ტრაქტორები.


3. ჩხიკვაძე.

(დასასრული იქნება)



მთი ბინა ბერლინის მუშათა უბანშია მოთავსებული, ქალაქის კარს.

იატაკი ქვისა და კედლებიდან განუწყვეტლად კონახს სინესტე. დედა და მამა განთიადისას მიდის სადღაც. შრომობენ ლუკმაზური-სათვის.



შინ ზატარა ჭენ-რიკო რჩება ოჯახის მოსაუფლებად. ასე მიდის სამთარი

და საფსული.

აი ახლაც, კანაფსული რომ დგას, მამა შუალამისას მოვიდა დაღლილი და დაქანცული.

— აბა, როსა, სარკმელს ფარდები



ქვეყნული  
ბიბლიოთეკა



ჩამოაფარე, ჩემთან ამხანაგები მოვლენ. საიდუმლო საქმე გვაქვს.  
დედამ დაფარა ფანჯრები.

კარსე დააკაუნეს, და ოთახში შემოვიდა რამდენიმე მუშა,  
ქვანასპირისა და ცემენტის მტვერით შემურული.

— აბა, ბრუნო, დაიწეე, — მიმართეს ამხანაგებმა ერთ მათგანს.

— ამხანაგებო, ჩვენ შუკრების მისანი ვუვლამ იცით. იცით, რომ სვალ ზირველი მაიონია და ჩვენ გავკვალემა შევადგინოთ კაფიცვისა და დემონსტრაციის კეკვა. ლაუბობას ნუ დავიწეებთ, ვადავიდეთ ზირდაზირ საქმესე, მსოლოდ ჩუმად. ამაღამ ზოლიცია ბერლინის ქუჩებმა და მუშათა უბნებში მხეციფით დაქრის.





— ამხანაგებო! რამდენიმე ქარხნის მუშათა ათასეული არმია ჩვენს მიერ გეგმის შედგენას ელოდება, უაძისოდ გაფიცვა ვერ შედეგება, ამიტომ ვცადოთ თუხდაც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, — სთქვა ერთმა.

— აბა, დავიწყოთ. რობერტ, შენ სწერ.

ზატარა ჭერნიკომ ანბანი ახლასან ისწავლა. ასოებს ვერ კიდევ ვერ არგვალებს ღამისად, უჭირს. ამიტომ ეველა გაბონილ სიტყვას სწერს, თუ ფანქარი და ქაღალდი აღმოაჩნდა. ახლაც მშვენიერი შემთხვევა იშოვა. მამა და მასი ამხანაგები გეგმას აღგენს, რობერტს უკანასკნელს, ისიც სწერს. ჭერნიკაც ღუმკლთან მიჯდა, ფანქარი და ქაღალდი ბილა და გულდასმით დაიწყო ნაკარნახევის ჩაწერა. ხელს იწაფ ვს, ღამისად არგვალებს ასოებს.

— მამ ასე, ჩასწერ, რობერტ: — ზირველად გაფიცულები კაუფმინის ქარხნიდან დ იმერი ნ სრულ 7 საათზე, მბიზონის საქროვი ფაბრიკისაკენ.



რობერტი სწერს.

ჰენრიკოც სწერს თავისთვის, თავიდან ბოლომდე. ლამაზი ასოები გამოიყვანა.

— შეძევ... —

მუშები განაგრძობენ კარნახს, რობერტიც სწერს და ღუძელთან შიმუდარი ჰენრიკოც.

გვიან, ნაშუადღევს, დაასრულეს კეკის შედგენა, რობერტმა ამხანაგებს გადაუკითხა ნაწერილი. კეკმა მიიღეს და შემდეგი საკითხი წამოაყენეს.

ჰენრიკოს უხარია: აი რა ლამაზი ასოები დაწერა, ძერე და რამდენი სიტყვაა, მთელი კეკმა! სწორედ იმდენი სწერა, რამდენიც რობერტმა. გასარებულმა ჰენრიკომ ნაწერი წიგნების აბჯამი შეინახა, რომ ხვალ ამხანაგებში იამაუოს ლამაზი ასოებით.

ჰენრიკოს ღუძელთან ჩაეძინა და მხოლოდ მაშინ გაეღვიძა, როცა კარზე რაღაც ბრახუნი ასტყეს. მუშების სახეს ფერი დაჰკარგოდა. ჰენრიკომ იგრძნო რაღაცა საფრთხე.

— კარი არ გაუღოთ! — დასტყვილა ძამამ.

მაგრამ ამ კარის შემოძვრევა არც ისე ძნელია, დამაღლია და დარღვეული. იგი გასტყეს, და ოთახში იარაღში ჩამსხდარი ათიოდე ზოლიციელი შემოვიდა. წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო. უველანი დააბატომრეს. მუშებმა და ჰენრიკომ თავისი თვალით შეხედეს, როგორ აქცია ნაფლეთებდ მთელი ღამის შრომით შედგენილი კეკმა ვიღაც ახმხმა ზოლიციელმა. უველაფერი განსრიკეს, საეჭო ნიუთები წაიღეს.

ღვდაც და ძამაც დააბატომრეს. ჰენრიკო საწოლზე დავარდა და საშინელი ღრიალი მოართო. იტირა დიდხანს, მაგრამ არავინ იყო მძეველი.

ჰენრიკოს რაღაც მოაკონდა:

— აჰუ, დაიღუპა იმდენი მუშის საქმე, კომიტეტი უკვე დააბატომრეს და, რაც მთავარია, კეკმა დასიეს, ნაფლეთებდ აქცია

ზოლიციელმა. ვინ იცის, როგორ ელოდებიან ათასწლეული მუშები იმ ფურცელს, რომელზედაც გეგმა ეწერა? გაფიცვა ჩაიფუძა, ჩაიძალა ზირფელი მანისი. ჭეე, ხვეწებმა ვერ მოასწრეს!

დიდხანს იფიქრა ჭენრიკომ ჩაძლილ გაფიცვაზე, რისთვისაც ასე გულმოდგინედ ეშხადებოდნენ ბურლინის მუშები. იფიქრა ჭენრიკომ, თუ როგორ დაღონდებიან და აღძფოთდებიან ისინი, როცა გეგმას ვერ ძიიღებენ.

— არა, მანაც საკვირველია, საიდან გაიკეს იმ ძაღლებმა, რომ მამას კრება ჭქონდა გამართული.

ჭეე, ჩაიფუძა ათასეული მუშების საქმე.

ჭენრიკო საწოლსე სის, თან ტირის, თანაც მდგომარეობას უფიქრდება.

შევე ფანჯრებში ინათლა და დილა დადვა. მუშეიდუ საათი შევე დაწვებული იქნება.



აღბათ ახლა გულისფანცქალით ელოდებიან ქარსნის ქუჩებში გაფიცვის დაწყებას, მაგრამ მაძა და მისი ამხანაგები უკვე სახურავ ბილემი სხედან, გეგმა კი, ნაფლეთებად ქცეული, იატაკსე ჰქრია.

ჰენრიკო ერთ ადგილას ვერ ჩერდება, რა ჰქნას, რა იღონოს! მეძვიდე საათი დაწყებულია.

ჰენრიკო უკვრად სისარულმა აიტაცა, საჩქაროდ გაიქცა, წიგნების აბჯა მოსძებნა. იგი თანის ადგილას იყო კედელზე ჩამოკიდებული. აღბათ ზოლიციელებმა საბაჟმო აბჯას უურადლებაც არ მიაქციეს. ვერ მოიფიქრებდენ, თუ იქ საეჭვო რამ იქნებოდა.

ჰენრიკოს ხელით გეგმა თავიდან ბოლომდე ღამაზად იყო ჩაწერილი. დაკვცა და უბეში ჩაიგდო. ოთახის დამტვრეული კარი გაიღებინა და ქუჩაში მოქუსლა. ზირველად კაუჭმანის ქარსანაში უნდა მივიდეს, საიდანაც დაიწეება გაფიცვა. ქარსანამდე თითქმის ნახევარი კილომეტრი იქნება. სადაც არის, უკვე შეიდეჯერ შემაჰგრავს საათი. ჰენრიკო მირბის, გვიანდება, თუ რაღაც ორიოდ წუთში არ მიუსწრო.

დაიქანცა ჰენრიკო, ოფლი ღვართქაფად მოდის, და კიდევ გამოინდა ქარსანა.

უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, აჩქარდა და მძიმე სუნთქვით ქუჩების ერთ ჯგუფში შეიჭრა.

\* \* \*

ზირველ მანის ბერლინის მუშათა უზნიდან, სწორედ იმკვარად, როგორც ეს რობერტის დაწერილ გეგმაში იყო გათვალისწინებული, დაიძრა მუშათა დემონსტრაცია.

— გაფიცვა, გაფიცვა, გაფიცვა, — სასწრაფოდ მოედო მთელს ქარსნებს.

ზირველ მანის ბობოქრობდა ქალაქის ქუჩები ათასეულ მუშათა უიქინით, სიძღვრით და წითელი დროშების ფრიალით.

დაქროდენ გაბრაზებული ზოლიციელები, მაგრამ უკვე გვიან იყო: „ვიდაცამ“ გაფიცვის საქმე მოაკვარა, თუძვა კომიტეტი წინა ღამით დააპატიმრეს.

# ჩვენ თვიონ



1957 წლის  
1901955

დღეს ეველაფერს ჩვენ ვაკეთებთ,  
ჩვენ უბრალოდ დროს არ ვკარგავთ!  
დახვით, ლამაზ წითელ დროშას  
სამხილით როგორ ვქარგავთ!

ჩვენ მთელი დღე არ ვისვენებთ,  
დავცუნცულებთ იქით-აქეთ,  
ეველაფერსე თვითონ ვსრუნავთ,  
სახლიც თვითონ დავილაგეთ!

აი, კედლის სურათები...

რომელ ერთსე მივითითოთ?

რასაც სედავთ, უფუროსოდ

ჩვენ დავხატეთ თვითონ, თვითონ!

ორ მაისს სომ ბავშობა დღეს!

თვითონ კავალთ ეველა გარეთ,

თვითონ ვიუღით მწუობებ რიგებდ,

ვიძღვრებთ და კავინარებთ!!

მარიუან.

## მ ა ი ს ი

მუშის უბანს სეიმი აქვს,

ბრწეინავს ლაღის ფერად,

ძველი ხანა აღმოიფხვრბ,

კადაიქცა მტევრად.

ცა კამკამებს, და მსე ბრწეინავს,

მხიარულობს საღსი,

იმით სასეს ჩამოშორდა

მწუსარება, თაღსი.

ცის კამარბ შეუღებავს

წითელ ფერად ბისს,

ვაშა მუშას, მშრომელ მუშას.

ვაშა ზირველ მაისს!!

შუშანა მგელაძე.





საბავშვო  
სკოლისთვის

# მ ა ი ს ი

(საბავშვო პიესა)

## მ რ ნ ა წ ი ლ ე ნ ი:

გოგი	ნინო	სარეველა მცენარენი
ლევან	მერაბი	კუდრიკა
თინა	საბავშვო ბაღის	მედროშე გლეხი
ოთარი	სხვა ბავშვები	გლეხები
ქეთო	ი ა	პირველი მუშა
ლენა	ვარდი	მეორე მუშა
ნოდარი	ენძელა და ზ. მზახი	მუშები

(სცენა წარმოადგენს ერთ მხარეზე ბოსტანს, რომელსაც ამუშავებენ საბავშვო ბაღის ბავშვები: გოგი, თინა, ლევან, ნინო, ოთარი, ლენა, ნოდარი, ქეთო, მერაბი და ბევრი სხვა ბავშა, მეორე მხარეზეა მინდორი ამწყანებული ხეებით და ბუჩქებით).

- გოგი:** შესე, შესე სარეველას,  
როგორ სწავრავს ბევრ უველას.
- ლევან:** ამოვუკლიჯოთ, ამოვთხაროთ  
და შორს სადმე გადავუბროთ.
- თინა:** (მიმართავს ნინოს, ოთარს და ლევანს)  
დავუძახოთ აქ უძაწვილებს,  
მოვუბროთ ამ უვაზილებს.
- ოთარი:** იას, ვარდსა დ ენძელას  
დღეს სჭირია მოვლა უველას.



საქართველოს  
წიგნითმწიფის  
კავშირის

- ქეთო:** შოდით, შოდით,  
**ლენა:** აქ მოკროვდით.  
**ნოდარი:** სარეულა  
**ნინო:** ამოკთხაროთ  
**მერაბი:** და სულ შორს, შორს  
**გივი:** გადაუვართოთ.  
**ია:** ძლივს ვეღირსე ამოსვლას,  
 ლურჯი კაბის ჩაცმასა,  
 სარეულას შიშით კი  
 ვუღბო ვიღებ აქ სმ.სა.  
**მარლი:** განსძლეულად მხადა ვარ,  
 მანისს რომ მიუყავო!  
 სარეულა კი მხაგრავს  
 და ვუჭნები, მეტობრებო.  
**ენქელა და  
 ზამბახი:** ხაზი ვართ და სათუთი,  
 საძმო და კარგები,  
 სარეულა მცენარით  
 თუ არ დაფინჯრებით.  
**სარეულა  
 მცენარე:** სჯობია გაუქცეთ,  
 მოკუგურცხლოთ ჩვენ მხლე,  
 სანამ დაგვიჭირეს  
 და არ გავაწვავალეს.  
 (შეუცდებთან გაქვავს, მაგრამ სხვა დაუღწევებთან, თითო-თითოს წაჭრავს და ისე  
 გააგდებენ)
- ველა:** გაეთრიეთ, დაიბრუნეთ,  
 ძუქთასორა მწაყლებო,  
 უსაქმურო, უსარკებლო,  
 მუდამ სწეების მხაგვრელებო!
- მერცხალი:** (მოკუეუბა შორადან ტბილ ჭიშკის და შემოდის სენაზე. ველა  
 ურს უდაეს)  
 ისევ ჩნასე თბილი მხარე,  
 გადმოვლსე ზღვა, კლდე, მთები.  
 ვუბდილებში გაუ სარებს,  
 მათ რაკებში მეც ჩაუდგები.



(ამ დროს შორიდან მოისმის გლეხური სიმღერა)

აკერ, უანიდან გლეხები  
მოდიან, მოიძვრიან,  
ერთ მათგანს დროშა წითელი  
წინ ხელში დაუჭერია.

**მედროზე**

**გლახი:**

სარეველა დანაგრულა,  
აღარ არის, გაზარულა.

**უვ. ბავში:**

ამოუკლივეთ, დაფატვევეთ,  
შევეტეთ, გაფამვეთ.

(ამ დროს შემოიღეს ქალაქელი მუშები და შემოაგორებენ ტრაქტორის და საღებ მანქანას — ხის მსაღიჯან უნდა გაკეთდეს ტრაქტორისა და საღებო მანქანის მატარებელი)

**უველა:**

(გარდა მუშებისა)  
ვაშა მუშებს, ჩვენს სტუმრებსა,  
ვაშა იმათ საჩუქრებსა!

**პირვე მუშა:**

(წითელი დროშით, ამაუდ)  
ჰა, გლეხებო, ჩვენ, მუშებმა,  
დღეს ტრ ქტორი მოკიტანეთ.  
მიწა აძით ამუშავეთ,  
ველმინდურები აამწვანეთ.

**მეორ. მუშა:**

ეს მანქანა საღებავი  
არის ჩვენი ნახელავი.

**მუშები:**

მუშა-გლეხი დღეს ერთდება,  
ერთ დროშის ქვეშ ეველა დგება.

**უვ. მონაწ.:**

გაუმარჯოს ზირველ მაისს,  
მუშა-გლეხის სურვილ-ხაღისს.  
გაუმარჯოს მათ ერთობას  
და განუერულ გაუძირ-ძმობას!

**მედროზე**

**გლახი:**

ვიცევეთ და დრო ვატაროთ.

**პირვე მუშა:**

ეველამ ერთად მსიარულად  
ეს მაისი ჩავატაროთ!

(რეჟისორი, კარგი და სხვა თამაშობანი, სად როგორ შესძლებენ)

ლალო გიგეჭკორი.

# სიმყუჭუბუჩი



ზატარა თინამ აბთვა-  
ლიერა თავისი ტყვე—  
გალიაში დამწყვედული  
ჭიუჭივი, რომელსაც  
შემოკლებულ სასელად  
ჭივას ეძახდნენ. ჭივამ  
თავი გვერდზე გადა-  
სარა, ცალი თვალით



თინას ასედა და დაი-  
ჭვიბინა:

— ჭივი!

თინამ თავი გადა-  
იქნია და სთქვა:

— ჭო, ჭივა, შენ  
უმუშევარი ხარ, და ეს  
ჩემი ბრალია.

— ჭივი!—დაიჭვიბინა ჭიუჭუბუჩმა.

— „ჭივი“—ის ძახილი არაფერს კომპლენს, უმუშევარი ხარ და  
ეს არის,—შენიშნა თინას მეგობარმა ვალიკომ.—როცა ჩიტო თავის-  
უფალია, ის იმდენ მზუნებულ მწყერს ჩაუღიანავს—ბუსუებს, კოლოებს,  
კალიებს, რომ რა! გალიაში კი ის უმუშევრად წის.

— მე „ფრინველების დღეს“ გავათავისუფლებ ჭივას,—სთქვა  
თინამ,—ბაღში წავაღ და იქ გამოვუშვებ ცალიდახ.

— ახლა კი ოთახში გაუშვი,—სთქვა ვალიკომ,—ფრთებს  
გაისწორებს, ფრენას შეწყვეტა.

თინამ გააღო გალიის კარი. ჭივამ იფიქრა, იფიქრა, და კარზე  
გადმოინაცვლა. მერე აფრთხილდა და ფანჯარასე მდკარ უვავილის  
ქოთანზე ჩამოსკუნდა. იჯდა და თავს აქეთ-იქეთ ატრიალებდა.

— ვაი!—შეფიქრა თინამ—ჭივა!..

— რა მოხდა?—შეკრთა ვალიკო.

ჭივა ღიად დარჩენილ ფანჯარასთან იჯდა და ხარბად ისუნ-  
თქავდა გასაფხულის ჭიერს.

თინამ ფანჯრისკენ მიიწია. ჭივამ მოსყდა თინას.

— ჭივი!—დაიჭვიბინა მან გამოსათხოვრად და გაქრა.



თინამ ხელები აასხვსავა, სანამ კელმა ჭივამ მთელი დღესასწაული გაუფუჭა მას.

— შესუთ, რა მოუთმენელი უოფილა! ერთ კვირას ვეღარ მოიციდიდა?

— რათ გეწინა, — მენიძნა ვალიკომ — მაინც ზომ გაძეგბა გინდოდა?

— ეს ბაღში, დღესასწაულზე.

აქ კი, ქალაქში, დაიღუპება ის სულელი, ისა.

— არ დაიღუპება! ბაღებში იცხოვრებს. მერე კი, როცა ბაგუმბი ხეებზე ჩიტების სახლებს ჩამოკიდებენ, მშვენებულად მოეწობა მენი ჭივა. კიდევ კარგი, რომ ერთი უმუშევარი მაინც მოკვდა.

— ჭო, როგორ არა! აი, მე აღარა მუავს ჩიტი, მია ზაქროს და ბებიან მართას კი ჭეხუთ... მოდი ახლა და გული ნუ დაგწელებ!

## 2

ვალიკო წავიდა, თინა კი ჩაფიქრდა, მერე ეშმაკურად ჩაიციანა და დერეფანში გავიდა. გვერდით ოთახში ბებერი მეძინქანე, მია ზაქრო ცხოვრობდა.

თინამ კარზე დაბაკუნა: — კაკი-კუკი-კაკი...

— შემოდით!..

მია ზაქრო ხარჩიტების გალიასთან იდგა და ლამბაქზე წებლს უსხვდა.

— რა ამბავია, თინიკო!

— ოს, მია ზაქრო, რომ იცოდეთ, რა მომივიდა: ჩიტუნა გამიფრინდა!..

— ოი-ოი-ოი! მერე, როგორ მოხდა ეს?

— აბა რა ვიცი, გამოუშვეი გალიიდან, იფრინოს მეთქი ოთახში. ვიღაცას ფანჯარა ღია დაუტოვებია. აიღო და გაფრინდა!



— რა ეშმაკი ეოფილა!

ძია ზაქრო ეურადღებით დააცქერდა თინას და ჰკითხა:

— ძალიან გენანება ჩიტუნა?

— ძა-ალიან! — გააჭიანურა ეშმაკმა თინამ და ტუჩები დაბრიცა.

— იცი რა, — სთქვა ძია ზაქრომ, — მე საკმაოდ მომაბეზრეს თავი ჩემმა ნარჩ-ტებმა. თუ გინდა, გაჩუქებ.

თინამ დაიმორცხვა.

— ოჰ, ძია!

— კარგი, კარგი, წაიუფანე. კარგად კი მოუარე!

### 3.

თინა ზეიძით დაბრუნდა თავის ოთახში. ასლა მას ერთი ჭიკვას მაგიერ ორი ნარჩიტა ჰყავდა!

მაშინვე მოწვეულ იქნა შესობელი ვალიკო. მას როგორ, არ უნდა მოიწონოს თავი საჩუქრით? მაგრამ ვალიკომ მოულოდნელად სთქვა:

— ძალიან კარგი! აბა, ჩქარა გამოუშვი ესენიც.

თინამ თვალებიც კი დაჭვიტა გაკვირვებისაგან.

— როგორ, ასლა?

— რა თქმა უნდა. დაწვებულ საქმეს გათავება უნდა. ესენიც სომ უმუშევრები არიან, სამუშაო კი ბევრია!

— მერე, მე აღარ შევალა ლება ჩიტუნა, ბებია ძართას კი ვეოლებ.

— მერე რაო, ის ბებურია, ასირებული, შენც სომ ისეთი არა ხარ?

თინას ძალიან უშშიდა ჩიტუნების გაშვება, მაგრამ რაღა გაეწობოდა!

ფართოდ გადაეს ფანჯარა.



გაღია ფანჯრის თა-  
როსე დადგეს, და  
ვალეკომ მარდად გა-  
ღო გელის კარი,  
თან გალის სასუ-  
რა ვსე უკაკუნებდა.

დამფრთხალი ჩი-  
ტუნები ეკვეთენ კარს,  
და ბავშვები სედავ-  
დენ, როგორ ანცდვენ  
ისინი სასურავებს,  
როგორ გადაურეს  
მასლობელ ბაღს და ლაქვარდში მიიძაღენ.

ოთასში სინუჟე ჩამოვარდა. თინამ მტკიცედ სთქვა:

— ახლა ბებია მართასთან წავიდეთ: იმასაც გავაშუებინოთ  
თავისი ჩიტი.

— წავიდეთ.

## 4.

— კაკ-კუკ-კაკ!..

თავსაფარწაკრული ბებია მართა ნავთქურასე ფაფას სარძაყდა.

— გამარჯობათ, ბავშვებო,—სთქვა მან,—რას იტყვიან?

— ჩიტი გამიფრინდა, ბებია,—სთქვა თინამ.

— შერე რა, მისთვის ჰჯარსე უკეთესია.

— მია ზაქროს ჩიტუნებიც გაფრინდენ.

— ძალიან კარგი! სასიხარულოა!

— აი რა ავი ეოფილსარ, ბებია მართა, სხვისი უბედუ-  
რება გინარია.

— აბა ეს რა უბედურებაა? თქვენ არაფერი დაგაკლდებათ,  
ჩიტუნები კი გაინარებენ.

— აჰა, ვერეა?—ცბიერად ჩაკითხა თინამ.—მამ შენი იაღო-  
ნიც გაუშვი! ისიც გაინარებს...



— კი, მაგრამ იადონი სომ აქაური ფრინველი არ მის ჩვენი თავისუფლად ცხოვრება არ შეუძლია,—ან სიცოცხლის მოკვდება, ან უვანხალები დაკორტნიან და დაიღუპება.

— რა კმახი ბებერია! თითქოს დასწავლირიებული ჰქონდა ზასუსი.

— არა უძახე რა, არ დაიღუპება...—გაუბედავად სთქვა თინამ.

— არა, დაიღუპება. მეორეც ისა, ძალსე ბებერია ჩემი იადონი, ჩემსავით; სიბერისაგან მელოტიც კი აქვს თავსე... მაგას მარტო კალიაში შეუძლია სიცოცხლე, მსამზარეულებსე.

— ესეც ახალი ჯმბავი! მელოტი! იადონი მელოტი?... აბა მელოტი იადონსე რაღა უნდა ილაზარაკო! რა გავწობა, ხელცალიერი უნდა წასვიდე.

მაგრამ ეკვბ თვალთმაქცობს ბებია მართა, რომ თავისი მელოტი იადონი შეინარჩუნოს?..

## 5.

საღამოს, როცა ბიბია ზაქრო სამუშაოდან დაბრუნდა, თინა გამოეცხადა მას და უთხრა:

— მია ზაქრო, მე თქვენი უმუშევარი ჩიტუნებიც გაფაფრინე.

თინას ეკონა, თუ გაუჯავრდებოდა მია ზაქრო, აბუსლუნდებოდა. არაფერიც! შემანქანემ გაილიბა და ხელი ჩაქნია:

— მერე რა, ასეც სჯობს!

— ბებია მართა კი ორივე ხელით ჩასჭიდებია თავის იადონს,—გულადად სთქვა თინამ,—მიუსედავად იმისა, რომ მელოტი...

— ვინ არის მელოტი?

— ვინა და იადონი. არ უნდა გაძეგება.

— მართალიცაა. აბა სად უნდა წავიდე ის იადონი? სულერთია, დაიღუპება, კინდ მელოტი იყოს, კინდ არა... აი, ჭიჭიჭი და ხარჩიტები რომ გაუძვი, ეს კი კარგია! აღარც დავატყვევებ ამიერიდან ჩიტუნებს,—მიეჩვევი კაცი ამ სიბერის დროს, გაძეგებაც კენახება და კალიაში დასწავლავ გრცხვენია.

— ჰო,—დინჯად სთქვა თინამ,—მეც არ დავატყვევებ ჩიტუნებს, თორემ, იცით, ძველი ჩვეულება უვალაფერსე უარყნია.

გადმოკეთებული მ. მიქელაძისაგან.



# საქართველი ბავშვი

მოვდივართ და მოგვამოვ  
ნოჩნი გული მტკიცე,  
მხიარულობს ქუჩა  
და დროშებით სივრცე.

ერთად ვართ უველა,  
სომეხი თუ რუსი,  
ერთად დაგვაქროლებს  
ძია ავტობუსით.

სწავა ქვეყნებში, სადაც  
კიდევ შეფობს მეფე,  
იტანჯება მასა,  
საწუხალ მუშებს ჰეველევენ.

გაგისრდებით ჩვენც და  
გამოვიხსნით ჩაგრულთ,  
ჩვენც შევხედებით მედგორად  
მტრებს, ბრძოლაში გასულს.

ერთობულობს ქუჩა,  
მოდის ხალხი რიგად,  
სომეხი და რუსი  
ერთხანირად გვიუვარს.  
გვიუვარს ძანისობა  
და ლენინის კვა,  
ბროლეტარულ საქმისათვის  
მუდამა ვართ მზად.


აღ. ბილანიშვილი.



# რეზოლუცია საპარტიო მისი



სამაისო სამზადისი. აპრილის უკანასკნელი დღეები მშვიდი, მზიანი და ლამაზი იყო. მაისის მოლოდინში მზე თითქოს გაი-



ზარდა, სიტბოს უმატა. გადაპენტილი ნუშის ხეები ნიავისაგან ირხევნიან, ხის კვირტები იშლებიან, ღვივიან. ფრინველნი აჭიკჭიკდენ და თავისი სიმღერებით ჩვენც გვახალისებენ. სკოლის ეზოც აფერადდა, გაღამაზდა. არცერთ დღესასწაულს ასეთი სიხარულით არ ეგებებიან ბავშვები, როგორც სამაისო დღესასწაულს. პირველი მაისი ხომ საერთაშორისო პროლეტარიატის დღეა.

საინტერესოა თვალი გადავაჯლოთ მთელ სასწავლებელს, თუ

რა ხდება სკოლის კედლებ შორის. ყველა ფუსფუსებს, დაწყებული ნოლი ჯგუფიდან უფროსებამდე! კედლებზე—ფერადი ქაღალდები, ბელადების დიდრონი სურათები, კედლის გაზეთები, დიაგრამები, ლოზუნგები!

ზოგი მწვანე გირლიანდების გაკეთებით არის გატაცებული, ზოგი ელნათურების ფერად შუშებს ამაგრებს, ზოგი ლენინის კუთხესა რთავს. ვის რა უნარიც აქვს, თავს არ ზოგავს, ჩქარი ტემპის მუშაობაა გაჩაღებული.

უფროს ჯგუფებს უფრო საპასუხისმგებლო დავალება აქვთ: ისინი საღამოს აწყობენ, ზოგი აფიშებს აფერადებს, ზოგი მოხსენებისათვის ემზადება; ყოველ წრეს თავისი საქმე აქვს. დრამწრე დაკვირითი წესით ამზადებს პიესას. დრო ცოტაა. სწავლას ვერ მოცდებიან, პიესაც დასადგმელია! გაორკეცებული ენერგიით ემზადება მოზარდი თაობა სამაისო დღეების ჩასატარებლად.

პირველი მაისი. გათენდა მშვენიერი თვალუჩუნა დღე. მსაათზე მოწაფეებმა უკვე თავი მოიყარეს სკოლის ეზოში და მწყობრი რიგებით გაემართენ დანიშნულ ადგილას. ყველა მზად არის: ოქტომბრელები, პიონერები, კომკავშირელები.

# ველას საცალო-საგვინაეაღას სკოლა



სპორტსმენები. ყველას შესაფერისი ტანსაცმელი აქვს, განსაკუთრებით ამ დღისათვის შეეკერილი.

ცოცხალი რიგები ერთმანეთს გადაება. ისმის ბრძანება: „პირდაპირ!“, „ერთი, ორი, ერთი, ორი!“

მუსიკა უკრავს. სამაისო, საზეიმო მარში. ფეხები თვითონ მიდიან! ყველას სახეზე ღიმილი დასთამაშებს. შევერით მოზღვავებულ ხალხთა რიგებს.

ქუჩები გატენილია მუშათა კოლონებით. მოდის მთელი ტყე დროშების, პლაკატების, სამაისო ლოზუნგები დიდრონ თვალებს აქყეტენ. მორთული ავტომობილები. ზედ სხვადასხვა ინსცენირობა. ქუჩებში აქლემები და კამეჩები შავ ბალდახინებს მიათრევენ. ეს მეორე ინტერნაციონალის დამარხვას გულისხმობს. კუნთებდაჭიმული სპორტსმენები, სამაისო გულამოჭრილ სავარჯიშო ტანსაცმელში გამოწყობილნი, თავომწონედ მოაბიჯებენ.

მტრედებიც კი იღებენ მონაწილეობას ამ საერთო აღლუმში. ეს უბრალო მტრედები

კი არ არიან, ფოსტის დამტარებელი მტრედებია—სწავლულნი! აგერ მამებარი ძაღლებიც ურებატკვეტილნი, კვიანი თვალებით აქეთ-იქით იცქირებიან. რამდენი სამსახური შეუძლიათ ამ გონიერ ცხოველებს, რამდენი ბოროტმოქმედების კვალისათვის მიუვნიათ!

ყოველ ძაღლს თითო დარაჯი ახლავს.

ბავშვებს უხარიათ მათი დანახვა.

აი, ტრიბუნებზე ორატორი ორატორს სცვლის, ზოგან მუსიკა უკრავს. ზოგან გუნდის ხმა შეწყობილი ხალხური სიმღერა ისმის. ამინდიც ხელს უწყობს





ხალხის ზეიმს. მიდის რიგი რიგ-ზე! უთვლელი ჯარი, ცხენოსანი თუ ქვეითი. სამხედრო მუსიკა და სიმღერა. ყველანი გარეთ არიან; ვინც პროცესიაში არ იღებს მონაწილეობას, ის გაჩერებულია და ერთობა სხვისი ცქერით.

„ვაშა“-ს ძახილით ხალხი ჩაუვლის მუშათა სასახლეს და იშლება შინ წასასვლელად.

ორი მაისი—პიონერების აღლუმი.

დღეს ბავშთა დღეა. ჩვენმა პიონერებმა დღეს აღლუმი მოაწყვეს. ინსცენირობა ქუჩაში პლაკატებით, კარიკატურებით. მერე ექსკურსია ლისის ტბაზე. პატარა იარაღები წაიღეს, სანადირო თოფები, პებლების დასაქერი სახელურები. იქ ბავშვები

ჯგუფ-ჯგუფად დანაწილდნენ. ზოგი ყვავილებს ჰკრეფდა კოლექციისათვის, ზოგი პებელებს იჭერდა. საღამოს ყველანი დაბრუნდნენ წარმოდგენისათვის.

დრამწრის წარმოდგენა. ესეც 8 საათი! ფარდა გაიხსნა. დარბაზი გაქვდილი იყო. მოწაფეები დღის შესაფერს მოხსენებებს აკეთებენ. პატარა პოეტები თავისი საკუთარი ლექსებით აღიდებენ მაისს და ფიცს სდებენ, რომ გაპყვებიან ლენინის გზას და მომავალში კომუნისტურ რიგებში იბრძოლებენ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ! ამის შემდეგ დაიწყო წარმოდგენა. განსაკუთრებული სიხარულია აუდიტორიაში. მოწაფეებს ახარებს ამხანაგების სასცენო თამაში, მიმოხერა, როლის დაჯაბნა. ალტაცებით ხვდებიან მათ გამოსვლას და დასასრულს დიდი ტაშით და ვაშათი აჯილდოვებენ გამარჯვებულ მოხალისე მსახიობს. ღამის 12 საათზე ბავშვები დაიშალნენ.

დ. ალექსიძე.

ჩვენი კოლექტივი ექს-კურსით ქალაქში ჩამოვი-და. დღისით ბევრი ვიარეთ, დავათვალიერეთ ქარხნები, მუზეუმები და საღამოთი დაღლილები მივედით სკო-ლაში, სადაც მოგვცეს გა-სათევი ბინა.

ის იყო ძილისთვის მოვე-მზადეთ, როდესაც ჩვენი ხელმძღვანელი შეგვეკითხა:

— გინდათ ჩაი დაგაღლე-ვინოთ?

ჩვენ გავიკვირეთ, რადგა-ნაც კარგად ვიცოდით, რომ, თუმც რამდენიმე ჩაიდან გვექონდა თან, ცეცხლი სკოლაში არსად მოიპო-

ვებოდა და ვერ გავგვეგო, თუ როგორ უნდა აედუღებინა ჩაისთვის საჭირო წყალი.

პური არავის შიოდა, მაგრამ რესდა, რომ ერთხმად წამოვიყვი-რეთ:

„გვინდა, გვინდა!“

— მაშ უყურეთ, როგორ ავა-დუღებ ჩაის უცეცხლოდ, — სთქვა ხელმძღვანელმა და ამოიღო ჯი-ბიდან ქალაქში გახვეული რა-დაც, რაც თავისი მოყვანილო-ბით ძალიან მიემსგავსებოდა პაპი-როსის ყუთს, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ეს პაპიროსი არ იყო, რად-განაც ჩვენი ხელმძღვანელი პიო-ნერი იყო და პიონერისათვის ხომ სირცხვილია თამბაქოს წვეა.



ყველა ისე დაინტე-


ხელმძღვანელმა ქალაქი გა-ხსნა და გამოაჩინა შავი ფერის ლი-თონის ყუთი; მას ზემო კიდებზე ორი ხრახნი ჰქონდა და მათზე იყო მიბმული თითო მავთული; ამ მავთულების თავისუფალი ბო-ლოები ორტოტიანი ჩანგლით მთავრდებოდა.

— მე არაერთხელ მითქვამს თქვენთვის, რომ ბუნებაში სასწა-ულები არ არსებობს, მაგრამ ახლა უნდა გიჩვენოთ სასწაული, რო-მელიც მოახდინა მეცნიერებამ და ადამიანის შრომამ: ამ პატარა ყუ-

თის საშუალებით აგიდულებთ ჩაის უცეცხლოდ.

ჩვენ უნდობლად გადავხედეთ ერთმანეთს: ხუმრობა გვეგონა, მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ ჩვენს ხელმძღვანელს ასეთი ხუმრობა არ უყვარდა. ხელმძღვანელი მივიდა კედელზე მიმაგრებულ ფაიფურის მრგვალ ფირფიტასთან, რომელსაც ორი ხვრეტი ჰქონდა (როგორც შემდგომ გავიგე, მას შტეპსელი ჰქვიან) და მოათავსა ამ ხვრეტებში იმ ჩანგლის ორივე ტოტი, რომელიც მიმაგრებული იყო ყუთზე: ყუთი ჩადგა წყლით სავსე ჩაიდანში და ჩვენ მოგვიბრუნდა.

— ვიდრე ჩაი აღუღდება, აგიხსნით, თუ როგორ არის მოწყობილი ის ხელსაწყო, რომლითაც გვინდა წყალი ავადულოთ: მას ელსადულარი ჰქვიან. შიგ ყუთში იმყოფება მარმალილოს სწორკუთხოვანი ფირფიტა; ზედ დახვეულია ლითონის წვრილი მავთული, რომელსაც ნიკელინი ეწოდება. მავთულების თავისუფალი ბოლოები შეერთებულია ორ ხრახნთან, რომლებიც თქვენ უკვე ნახეთ სადულარის სახურავზე და ამათი სა-



შუალებით შეერთებულია ელექტროდენტან.

ნიკელინის მავთულის გრაფიკულურ დენი რომ გაივლის, იგი გაათბობს, გაახურებს კიდევაც ამ მავთულსა და ამის გამო აღუღდება წყალი.

ვერ მოასწრო ჩვენმა წინამძღოლმა სიტყვის დამთავრება, რომ წყალი უკვე დუღდა.


ჩაის ძალიან კარგი გემო ჰქონდა, არ ჰგავდა იმ ჩაის, რომელსაც ჩვენ ბანაკად ყოფნის დროს კოცონზე ვადულებდით და ვერ ვსვამდით, კვამლის ისეთი სუნით ჰქონდა.

დ. მესხი.

# ბრმა მოსწავლეები



ძალიან კარგი, სახლია, თეთრი, მშვენიერი პირველ მეშინის ქუჩაზე. № 11. თანჯარაზე



შეხებით სცნობს საგანს.

ქუჩისაკენ არის ჩამოკიდებული აბრა: „ბრმათა ინსტიტუტი“.

სახლში ბევრია სინათლიანი და სუფთა ოთახი. აქ არის სკოლა, სახელოსნო, სასადილო, საძინებელი ოთახები და სხვა სადგომები.

აივნებზე და კიბეებზე დარბიან ბრმა ბავშვები, ვაჟები და გოგოები. ისინი ორასამდე არიან.—რა გქვია?—ვეკითხები ერთ-ერთ ბავშვს.

ის მიპასუხებს ისე თამამად, როგორც დიდხნის ნაცნობი:

—ლუსია. თქვენ?

მეორე მოწაფე შემოტრიალდა და მითხრა.

—ის ჩვენ ლექსებს გვიკითხავს! სთხოვეთ მას!

—აბა, წაიკითხე,ლუსია!

და ლუსიამ სთქვა ლექსი ოქტომბრის ბავშვების შესახებ.

ბრმა ბავშვები სწავლობენ ინსტიტუტში არა მარტო რელიეფურ შრიფტს, არამედ პირველი საფეხურის სკოლის ცოდნასაც იღებენ. შემდეგ რამდენიმე მილის მეორე საფეხურის სკოლაში, ფაბრიკებში, ტექნიკუმებში,—სწავლობენ იქ სხვა ბავშვებთან ერთად. დანარჩენები ეწყობიან სახელოსნოებში, რომ მიიღონ პროფესიონალური მომზადება. ინსტიტუტში არის ორი სახელოსნო.

ბრმა ბავშვებმა იციან და უყვართ თავისი მანქანები. ბრმა ბავშვების უმრავლესობა ინსტიტუტში სოფლიდანაა მოსული. დაბრმავებულან ისინი სხვადასხვა მიზეზისაგან: ზოგი ბრმად დაბადებულა, ზოგი „ბატონებს“ (სახადს) დაუბრმავებია და სხვა.



თითებით კითხულობს.

ასეა თუ ისე, მთელი მათი ცხოვრება უსინათლოდ მიმდინარეობს, მაგრამ შრომა ჰქნის მათ ს.ს.რ.კ. სასარგებლო მოქალაქეებად.

საბა.



# სხვადასხვა ამბავი

## პიონერთა საერთაშორისო შეკრება

1930 წელს ბავშთა კომუნი-  
სტური მოძრაობის 10 წელი  
შესრულდება. ამ 10 წლის აღსა-  
ნიშნავად ივლისში გერმანიაში  
მოხდება საერთაშორისო პრო-  
ლეტარ ბავშთა შეკრება. დაე-  
სწრებიან გერმანელი, ამერიკე-  
ლი, ინგლისელი, ჩეხია-სლოვა-  
კელი, შვეიცარიელი, ავსტრი-  
ელი, შვეციის, ს. ს. რ. კავში-  
რის, აზიის და სხვა ქვეყნების  
ბავშთა დელეგატები. პიონე-  
რებს გარდა დაესწრებიან სა-  
ხალხო სკოლების მოწაფეთა  
წარმომადგენლებიც. სულ 20  
ათასი ბავში მოიყრის თავს ამ  
შეკრებაზე, რომელიც 5 დღე  
გაგრძელდება. წამოყენებული  
იქნება კითხვები: როგორ ას-  
რულებენ პიონერორგანიზაციე-  
ბი 1 კონგრესის დადგენილე-  
ბებს მუშათა რევოლუციო-  
ნურ მოძრაობაში მონაწილეო-  
ბის მიღების შესახებ, საერთა-  
შორისო ბავშთა ორგანიზა-  
ციების მდგომარეობა და პიო-  
ნერთა დიდი ორგანიზაციების  
ანგარიშები.

### ბავშთა სასახლე

მოსკოვში განათლების სახალ-  
ხო კომისარიატს განზრახული  
აქვს ააგოს „ბავშთა სასახლე“;  
სადაც პროვინციებიდან ჩამო-

სულ ბავშებს შეეძლებათ იც-  
ხოვრონ რამდენიმე დღის გახ-  
მავლობაში. სასახლეში იქნება  
გამართული საწოლები, სასადი-  
ლო, კლუბი, ბიბლიოთეკა და  
სხვა კულტურული გასართობი.

სრულიად საკავშირო ლატარია.

### ავტოდორი

ჩქარა გამოვა ავტოდორის მე-  
ორე სალატარიო ბილეთები.  
ბილეთი ელირება 50 კაპ. გათა-  
მაშებული იქნება სულ 10000  
მან. ღირებული აერომარხილე-  
ბი, ავტომობილევაი, მოტოცი-  
კლეტები და ველოსიპედები.  
ამ ლატარიის ბილეთი უნდა  
შეიძინოს საბჭოთა ყოველმა  
მოქალაქემ, დიდმა და პატარამ,  
რადგანაც ამით ისინი შეასრუ-  
ლებენ თავის მოვალეობას—  
ხელს შეუწყობენ ჩვენს მშენებ-  
ლობას.







50 ათასი პიონერი ბანაკად. მოსკოვის ოლქიდან მიმდინარე წელს გადაწყვეტილია გაიყვანონ ბანაკად 50 ათასი პიონერი.

### ახალი კალენდარი

მთავრობის მიერ დანიშნულმა კომისიამ, რომელიც განუწყვეტელი კვირის მოსაგვარებლად მუშაობს, დაადგინა შემოიღოს ახალი კალენდარი.

წელთაღრიცხვა დაიწყება 1917 წლიდან — პროლეტარული რევოლუციის დღიდან ს. ს. რ. კავშირში. წლის დასაწყისის პირველი დღეა ოქტომბრის რევოლუციის დღე — 7 ნოემბერი. სამეურნეო წელიწადი კი პირველი იანვრიდან იწყება.

წელიწადი გაყოფილი იქნება 12 თვედ. ყოველ თვეს ექნება ხუთ-

დღიანი 6 კვირა. ხუთი უქმე დღე (ლენინის დღე — 22 იანვარი, 2 დღე ინტერნაციონალის და 2 დღე პროლეტარული რევოლუციის) ჩაიწერება კალენდარში განმეორებით დღეებად, როგორც 1ა და 1ბ მაისი — ინტერნაციონალის დღე, 7-ა და 7ბ — ნოემბრის პროლეტარული რევოლუციის დღე. თვეებისა და დღეების სახელები რჩება უწინდელი, მხოლოდ შაბათი და კვირა აღარ იქნება. ყოველი თვე წელიწადში დაიწყება ერთისა და იმავე დღით.



ხილნალის ხაცლ. ხაჩვ. ოთხწლედის ოქტომბრელთა ჯგუფი იწერს 70 ც. „ოქტომბრელს“, იწვევს ხილნალის 10-წლ. ოთხწლედს და ხილნ. ოქტ. ჯგუფებს. გ. ბას — ლი.



## ბ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

ბუნებამ გაიღვიძა. მზემ თავისი მაცოცხლებელი სხივები მიაშუქა დედამიწას და გამოაცოცხლა; კამკამა ნაკადული ცელქი ჩქრილით მიქრის, უვლის აბიზინებულ ველ-მინდორს, რწყავს, აცოცხლებს, და ყვავილებიც მადლოზის ნიშნად ნახად გადმოსცქერიათ მას.

ბალახით მოირთო ველ-მინდორი, რომელშიაც ჩაიჭარგა სხვადასხვანაირი ყვავილი. ბავშვები განთავისუფლდნენ დახშულ ოთახებში ბუბრებთან ჯდომისაგან, გამოეფინენ გარეთ და საერთო სიხარულით შეუდგნენ საგაზაფხულო მუშაობას.

მერცხლებიც მოფრინდნენ, მონახეს ნაცნობი სახლების აივნები და შეუდგნენ ბუდეების გაკეთებას. მალე დასდებენ კვერცხებს, გამოსჩეკავენ ბარტყებს და შეუდგებიან მათ მოვლასა და აღზრდას.

პატარა ოქტომბრელებო, ნუ დალუბავთ პატარა ჩიტუნებს, ნუ ესვრით ქვევს, ნუ დაუნგრევთ ბუდეებს, პირიქით, თუ რომელიმე თქვენგანის აივანზე იქნება ბუდე, ხელი შეუწყვეთ, დაუყარეთ საკენკი, და მერცხალიც მადლოზის ნიშნად ყოველ დილით ტყბილი ქიკვიკით გაგაღვიძებთ და სკოლაში აღარ დაგაგვიანდებათ.



პიონერი მარიამ სულიკაშვილი.

## 2 მაისი—ბავშთა დღე

დღეს, ბავშვებო, ჩვენი დღეა,  
დღეს ზეიმობს ნორჩი გული,  
დიდი არის ჩვენი ლტოლვა,  
დიდი არის სიხარული.

ჯერ ნორჩები, ფრთებგაშლილი  
აქტიურად ვიბრძვით ყველა,  
ჩვენ მზადა ვართ დავიძახოთ:  
„თქვენთან ბრძოლა, ერთად ბრძოლა“.

პიონერი ანგ. ხოფერია.



ამხანაგო ნუნუ! გულს ნუ გაიტებით და არც იჯავროთ. თქვენ გვითხრათ, ის შეასრულეთ. თქვენზე მძიმე ავადმყოფები რჩებიან, თქვენ გული რას გაიტეხიათ. სულ მალე ითამაშებთ ბავშვებთან. ნუ იჯავრებთ, დიაო. ჩვენ შენი ამხანაგები ვართ სუყველა, სულ კარგად გახდები ამ ოთხ თვეში, დიაო, მეც ძალიან მიყვარს წერილების კითხვა, წერა. ამხანაგო ნუნუ, აბა, შენ იცი, რა ჩქარა მოიწერები. მეც ბავშვებთან ვარ კარგად. ახლა მშვიდობით, ამხანაგო ნუნუ.

გწერს ოქტომბრელი ბიჭორ ცხადაძე.

### 1 მ ა ი ს ი

მოვევიდა მაისი, და თან მოაქვს სიხარული და სიამე. გაიღვიძა ბუნებამ, მაისს მიეგება მშრომელი ხალხი.

ზეიმობს და ხარობს დღეს სუყველა—დიდი, პატარა. მაისს ეგებებიან ყვა-ვილებით, სიცილით და წითელი დროშის ფრიალით.

პირველი საცდელ-საწვენებელი შრომის სკოლის III კვ. მოწაფე  
ვ. გვახარია.

### ტ შ ე ს

### გ ა ზ ა ფ ხ უ ლ დ ა

გათენდა დილა ლამაზი,  
მზე ამოკურდა მთებიდან.  
ოქროს სხივები დაფანტა  
მაღალი მწვერვალებიდან.

თავისი ნაზი სხივებით  
მან გადაჰკოცნა ტყეები,  
საღამი უძღვნა წყაროებს  
და გაახარა ნაძვები.

ვაუმარჯოს ტყეს შრიალას  
და მის ჰაერს სურნელოვანს,  
იმის დიადს სილამაზეს  
და მის კორდებს ხვერდოვანს.

მე-18 შრ. სკ. მე-III კვ.  
მოწ. თ. ცხადაძე.

გაზაფხული მოვიდა,  
გადიფურჩქნა ვარდები,  
მზემ სხივები ამოჰყო,  
მისეალმა გაზაფხულს.

მორაკრაკებს ნაზი წყარო  
და თანაც რწყავს ყვავილებს,  
მისეალმა მინდორ-ველს  
ათასურად აყვავებულს.

რა კარგი ხარ, რა კარგი,  
კობტა ნაზი წყაროთი,  
მორაკრაკებს ნაზი წყარო,  
და ახარებს მზის სხივებს.

მე-18 შრ. სკოლის მე-III კვ.  
მოწაფე ეთერი თოფურიძე.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

# „მ ა ტ მ ა ვ რ ე ლ ი ს“

- წლიურ ხელისმძავერებზე უფასო დამატებად ქმლევა:
1. „გუღუღიღი“ (ფერადხურთაიებანი წიგნი)
  2. ვინც ხუთ ცაღ „ოქტობრული“ გამოიწერს მიუღლი

წლით—გვემხმე ცაღი „ოქტობრული“

